

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის №01-06/11

მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

3. ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული (სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული) ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი: ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის -- ივლისი  
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 21.02.32.300) არსებულ სოციალურ სახლში (N01/5 - 2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა).

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტ 20 (ოცი) ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემული იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოთაღნიშნულ საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული 20 ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), რის თაობაზეც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 05 ივლისის №3764/02 წერილი - მოთხოვნა ქონების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 21.02.32.300) არსებულ სოციალური სახლში (N01/5 - 2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) რეგისტრირებული 20 (ოცი) ერთეული ბინა დანართი N1-ის მიხედვით, შემდგომში მათი ეკომიგრანტ ოჯახებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემი ქონების ნუსხა

N	დასახელება	მისამართი	ბინის ფართი (კვ.მ.)	სართული	მიწის ფართი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	საცხოვრებელი ბინა N1	ქედა, სოფელი პირველი მაისი	62.10	I	2879	21.02.32.300.01.001
2	საცხოვრებელი ბინა N2	ქედა, სოფელი პირველი მაისი	78.00	I	2879	21.02.32.300.01.002
3	საცხოვრებელი ბინა N3	ქედა, სოფელი პირველი მაისი	72.40	I	2879	21.02.32.300.01.003
4	საცხოვრებელი ბინა N4	ქედა, სოფელი პირველი მაისი	72.30	I	2879	21.02.32.300.01.004
5	საცხოვრებელი ბინა N5	ქედა, სოფელი პირველი მაისი	60.80	II	2879	21.02.32.300.01.005
6	საცხოვრებელი ბინა N6	ქედა, სოფელი პირველი მაისი	78.20	II	2879	21.02.32.300.01.006
7	საცხოვრებელი ბინა N7	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.20	II	2879	21.02.32.300.01.007
8	საცხოვრებელი ბინა N8	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	II	2879	21.02.32.300.01.008
9	საცხოვრებელი ბინა N9	ქედა, სოფელი პირველი მაისი	61.60	III	2879	21.02.32.300.01.009
10	საცხოვრებელი ბინა N10	ქედა, სოფელი პირველი მაისი	77.00	III	2879	21.02.32.300.01.010
11	საცხოვრებელი ბინა N11	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	III	2879	21.02.32.300.01.011
12	საცხოვრებელი ბინა N12	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	III	2879	21.02.32.300.01.012
13	საცხოვრებელი ბინა N13	ქედა, სოფელი პირველი მაისი	61.60	IV	2879	21.02.32.300.01.013
14	საცხოვრებელი ბინა N14	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	IV	2879	21.02.32.300.01.014
15	საცხოვრებელი ბინა N15	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	IV	2879	21.02.32.300.01.015
16	საცხოვრებელი ბინა N16	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	IV	2879	21.02.32.300.01.016
17	საცხოვრებელი ბინა N17	ქედა, სოფელი პირველი მაისი	61.60	V	2879	21.02.32.300.01.017
18	საცხოვრებელი ბინა N18	ქედა, სოფელი პირველი მაისი	77.00	V	2879	21.02.32.300.01.018
19	საცხოვრებელი ბინა N19	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	V	2879	21.02.32.300.01.019
20	საცხოვრებელი ბინა N20	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	V	2879	21.02.32.300.01.020

## განმარტებითი ბარათი

### ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

**„ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ**

**ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:**

**ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:**

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესრულება რათა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 5 ივლისის №3764/02 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

**ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:**

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით აშენებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არის რეგისტრირებული (ს/კ 21.02.32.300), ასევე განხორციელდა აღნიშნული საცხოვრებელი სახლში არსებული ბინების 20 (ოცი) ბინა ერთეულ ფართებად დაყოფა და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ამასთანავე, ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ, მიმდინარე წელში შერჩეული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აგარაში და ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ის ოჯახები რომლებიც გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად, სტიქიური მოვლენების გამო, ექვემდებარებიან ადგილმონაცვლეობას. კომისიამ, დადგენილი წესის მიხედვით, უზრუნველყო საცხოვრებელი ფართების 20 (ოცი) ოჯახზე განაწილება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვს საცხოვრებელი ბინის ფართების გადაცემა შერჩეულ ოჯახებზე განხორციელდეს უსასყიდლოდ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რასაც მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა შუამდგომლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ზემოთ

აღნიშნული საცხოვრებელი ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულ, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.02.32.300) არსებულ სოციალური სახლში (N01/5 -2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) რეგისტრირებული 20 (ოცი) ბინა ერთეული, დანართი N1-ის მიხედვით, შემდგომში მათი ეკომიგრანტ ოჯახებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგინებთ სათანადო სამართლებრივი აქტის პროექტს, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 20 (ოცი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე.

(იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მასზე თანდართული დოკუმენტაცია რომელიც განკარგულების პროექტს თან ერთვის).

**ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რათა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში თვითმმართველი თემის ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მდებარე 2879 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 21.02.32.300) არსებულ სოციალურ სახლში (N01/5 - 2393.1 კვ.მ. საერთო ფართი) რეგისტრირებული 20 (ოცი) ერთეული ბინა, კერძოდ:

N	დასახელება	მისამართი	ბინის ფართი (კვ.მ.)	სართული	მიწის ფართი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი
1	საცხოვრებელი ბინა N1	ქედა, სოფელი პირველი მაისი	62.10	I	2879	21.02.32.300.01.001
2	საცხოვრებელი ბინა N2	ქედა, სოფელი პირველი მაისი	78.00	I	2879	21.02.32.300.01.002
3	საცხოვრებელი ბინა N3	ქედა, სოფელი პირველი მაისი	72.40	I	2879	21.02.32.300.01.003
4	საცხოვრებელი ბინა N4	ქედა, სოფელი პირველი მაისი	72.30	I	2879	21.02.32.300.01.004
5	საცხოვრებელი ბინა N5	ქედა, სოფელი პირველი მაისი	60.80	II	2879	21.02.32.300.01.005
6	საცხოვრებელი ბინა N6	ქედა, სოფელი პირველი მაისი	78.20	II	2879	21.02.32.300.01.006
7	საცხოვრებელი ბინა N7	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.20	II	2879	21.02.32.300.01.007
8	საცხოვრებელი ბინა N8	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	II	2879	21.02.32.300.01.008
9	საცხოვრებელი ბინა N9	ქედა, სოფელი პირველი მაისი	61.60	III	2879	21.02.32.300.01.009
10	საცხოვრებელი ბინა N10	ქედა, სოფელი პირველი მაისი	77.00	III	2879	21.02.32.300.01.010
11	საცხოვრებელი ბინა N11	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	III	2879	21.02.32.300.01.011
12	საცხოვრებელი ბინა N12	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	III	2879	21.02.32.300.01.012
13	საცხოვრებელი ბინა N13	ქედა, სოფელი პირველი მაისი	61.60	IV	2879	21.02.32.300.01.013
14	საცხოვრებელი ბინა N14	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	IV	2879	21.02.32.300.01.014
15	საცხოვრებელი ბინა N15	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	IV	2879	21.02.32.300.01.015
16	საცხოვრებელი ბინა N16	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	IV	2879	21.02.32.300.01.016
17	საცხოვრებელი ბინა N17	ქედა, სოფელი პირველი მაისი	61.60	V	2879	21.02.32.300.01.017
18	საცხოვრებელი ბინა N18	ქედა, სოფელი პირველი მაისი	77.00	V	2879	21.02.32.300.01.018
19	საცხოვრებელი ბინა N19	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.40	V	2879	21.02.32.300.01.019
20	საცხოვრებელი ბინა N20	ქედა, სოფელი პირველი მაისი	84.30	V	2879	21.02.32.300.01.020

**ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:**

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი კერძოდ: ბინების კომისიის მიერ შერჩეულ ოჯახებზე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა და მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

**ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:**

**ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე.

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის -- ივლისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხა, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალამიძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში  
2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხა

N	ადმინისტრაციული ერთეული	დასახლება (სოფელი)	იდეის (პროექტის) დასახელება	იდეის (პროექტის) სავარაუდო ღირებულება
1	წონიარისი	აბუქეთა	მზა ბეტონის შესყიდვა	22,700
2		ტიბეთა	მზა ბეტონის შესყიდვა	17,100
3		ვარჯანისი	მზა ბეტონის შესყიდვა	18,500
4		წონიარისი	გარე-განათების მოწყობა (კეხივრის უბანი)	32,600
5		საბადური	მზა ბეტონის შესყიდვა (ნაომგალი)	3,000
6			მაგიდის ჩოგბურთის შექმნა ინვენტარით	3,000
7		კანტაური	მზა ბეტონის შესყიდვა	13,600
8		სასადილოყელი	სარწყავი მილების შექმნა	10,900
9	დოლოგანი	დოლოგანი	სარიტუალო ინვენტარის შექმნა	28,900
10		ჭინკაძეები	გარე-განათების მოწყობა	19,200
11		ჭალახმელა	მზა ბეტონის შესყიდვა	17,400
12	ცხმორისი	გობრონეთი	წისქვილის რეაბილიტაცია	1,000
13			გარე-განათების მოწყობა (ბარის უბანი)	12,000
14			სარიტუალო ინვენტარის შექმნა	5,500
15		ცხმორისი	გარე-განათების მოწყობა	37,200
16		ახო	მზა ბეტონის შესყიდვა	36,900
17		ჩეტკიძეები	მზა ბეტონის შესყიდვა	18,600
18		კოკოტაური	გარე-განათების მოწყობა	34,700
19	გეგელიძეები	გარე-განათების მოწყობა	29,000	



20	პირველი მასი	პირველი მასი	გარე-განათების მოწყობა	33,700
21		კოლოტაური	გარე-განათების მოწყობა	31,500
22		ქვედა აგარა	გარე-განათების მოწყობა	15,100
23		ზედა აგარა	გარე-განათების მოწყობა	14,900
24	ზვარე	კვაშტა	გარე-განათების მოწყობა	22,700
25		ვაიო	მზა ბეტონის შესყიდვა	28,600
26		სირაბიძეები	მზა ბეტონის შესყიდვა	21,500
27		ზესოფელი	გარე-განათების მოწყობა	19,400
28		ზვარე	მზა ბეტონის შესყიდვა	12,000
29	მახუნცეთი	ქვედა მახუნცეთი	პარკის რეაბილიტაცია	29,800
30		ზედა მახუნცეთი	გამაჯანსაღებელი ცენტრი	19,300
31		უჩხითი	გარე-განათების მოწყობა	21,800
32		ქოსოფელი	მზა ბეტონის შესყიდვა და გარე-განათების მოწყობა	13,400
33		ნამლისევი	ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი	17,300
34		მილისი	მზა ბეტონის შესყიდვა და გარე-განათების მოწყობა	15,700
35		ქვედა ბზუბზუ	გარე-განათების მოწყობა	21,900
36		ზედა ბზუბზუ	გარე-განათების მოწყობა	23,900
37		ზუნდაგა	გარე-განათების მოწყობა	23,600
38		დანდალო	დანდალო	გარე-განათების მოწყობა
39	ხარაულა		სასაფლაოს, გზის და კედლის მოწყობა	38,800
40	ჯალაბაშვილები		სკვერის მოწყობა	24,100
41	ტაკიძეები		გარე-განათების მოწყობა	18,500
42	ბალაძეები		გარე-განათების მოწყობა	15,400
43	მოსიაშვილები		გარე-განათების მოწყობა	8,900
44			მზა ბეტონის შესყიდვა	8,900
45	გოგიაშვილები		გარე-განათების მოწყობა	16,000
46	ოქტომბერი	კუჭულა	გარე-განათების მოწყობა	19,200
47		აგოთა	კოკოსას ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკის რეაბილიტაცია	15,600
48		ოქტომბერი	გარე-განათების მოწყობა (აჯაშპირის უბანი)	4,000
49			გარე-განათების მოწყობა	12,000

50		მთის ელექტრო სისტემის რებილიტაცია (მასალების შესყიდვა)	5,000	
51		მეძიბნა	მოსაცდელელების მშენებლობა	
52	გოგინიძეები	თხილის სარჩევი აპარატის შეძენა, ყურძნის სარჩევი აპარატის შეძენა	9,000	
53		მთის ელექტრო სისტემის რებილიტაცია (მასალების შესყიდვა)	5,000	
54	მერისი	მერისი	გარე-განათების მოწყობა	
55		გუნდაური	სარიტუალო ინვენტარის შეძენა	
56		გარეტყე	სარწყავი წყლის სათავეს რეაბილიტაცია	
57		სილიბაური	სოფლის სახლის კეთილმოწყობა	
58		ნამონასტრევი	სოფლის სახლის კეთილმოწყობა, სარიტუალო ინვენტარის შევსება და წისქვილის რეაბილიტაცია	
59		ინაშარიძეები	სოფლის სახლის მშენებლობა	
60		სიხალიძეები	სოფლის სახლის მშენებლობა	
61		დაბა ქედა	არსენაული	გარე-განათების მოწყობა
62	ხუნკუდა		გარე-განათების მოწყობა	
63	გულები		გარე-განათების მოწყობა	
64			მზა ბეტონის შესყიდვა	
65	ორცვა		სოფლის სახლის მოწყობა	
66	ზენდიდი		ფანჩატურის, ატრაქციონის და წყარო წყალის კეთილმოწყობა	
67	კორომხეთი		გარე-განათების მოწყობა	
68	აქუცა		გარე-განათების მოწყობა	
69	დაბა ქედა		სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	
70	შევაბური		გარე-განათების მოწყობა	
71	ცხემნა		მოსაცდელელების მშენებლობა	
72	ძენწმანი		სასაფლაოს შემოღობვა	
სულ ჯამი			1,427,400	

## განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია გაცნობებთ, რომ რომ მიმდინარე წლის 18 ივლისს ჩატრდა ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ა(ა)იპ „განვითარების ტალღა“-ს მიერ 2022 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში მოწოდებული იდეების კენჭისყრის შედეგები, შესაბამისი დოკუმენტები და ოქმები. საბჭოს გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც გაიმართა იდეებზე ხმის მიცემის პროცედურა, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული იდეები.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

რომ მიმდინარე წლის 18 ივლისს ჩატრდა ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ა(ა)იპ „განვითარების ტალღა“-ს მიერ 2022 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში მოწოდებული იდეების კენჭისყრის შედეგები, შესაბამისი დოკუმენტები და ოქმები. საბჭოს გადაწყვეტილებით, გამოვლენილა გამარჯვებული იდეები, რომლებიც მიზანშეწონილია განხორციელდეს მიმდინარე წლის მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხა და განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 2022 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:**

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

**დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალი ტაკიძე (საბჭოს წევრი).

**ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

## ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის მეორე კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 2 (ორი) სამშენებლო ნებართვა. კერძოდ, სოფელ ქედაში ლია პეტრიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საქონლის ფერმის დანიშნულების ახალი ერთსართულიანი შენობის მშენებლობაზე, სოფელ გუნდაურში შპს „გოგორა“-ს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე „ერთსართულიანი ხის სათამაშოებისა და საბავშვო ავეჯის მცირე ზომის საამქროს მშენებლობებზე. სამშენებლო სამართალდარღვევის გამო 2 (ორი) ფიზიკური პირი უნებართვო მშენებლობის განხორციელების გამო დაჯარიმებულ იქნა, ხოლო ერთი ფიზიკური პირის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაგზავნილ იქნა ქედის მაგისტრატ სასამართლოში განსახილველად. მშენებლობის ნებართვის გარეშე მიმდინარეობდა 3 (სამი) ობიექტის მშენებლობა, რის გამოც გაიცა გაფრთხილების აქტი და 3 (სამი) მითითება. ამავე პერიოდში სამსახურის მიერ გამოტანილი იქნა 2 დადგენილება, გაცემულ იქნა 2 (ორი) შემოწმების აქტი და უწყება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუფთავების სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე. კერძოდ გაიწმინდა და დასუფთავდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ფრიდონ ხალვაშის სახელობის, გამარჯვებისა და 9 აპრილის პარკი ნაგვისა და სარეველა მცენარეებისაგან. მოწესრიგდა რუსთაველის, აბუსერიძის, 26 მაისის, კოსტავას ქუჩების ტერიტორია. ჩატარდა დაქსუფთავების აქცია 21 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე და თემის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებში. მასში მოსახლეობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს შპს, ააიპ, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებმა. დაბა ქედაში ჩატარდა მრავალწლიანი ნარგავების შეთეთრების სამუშაოები შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ. სისტემატიურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან. აპრილის თვეში აჭარის ავტონომიური რეგიონის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ გეგმიური საკითხის „ნარჩენების მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში“ განხორციელდა მონიტორინგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და დაფიქსირდა სამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანებული ტერიტორიები ცხმორისის, 3/მაისის, მახუნცეთისა და დოლოგნის თემებში, რომელიც მოსახლეობისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს ძალებით დასუფთავებულ იქნა.

სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღდგენილ იქნა და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა არსენაულის, ხუნკუდის, 3/მაისის, ზუნდაგის, ქვ.კუჭულის, წონიარისის, დანდალოს, გულების სოფლებში.

ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს მიერ სისტემატიურად ხდება გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტეროტორიაზე მოახდინონ მოვლა პატრონობა და დანაგვიანების აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე, დასუფთავების წესების დარღვევისთვის გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. განხორციელდა დოლოგნის, და 3/მაისისა და მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებში

მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს დანაგვიანებაზე. განთავსებულ იქნა საჯარო ადგილებში გამაფრთხილებელი პლაკატები და დარიგებული იქნა ბუკლეტები. სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწყლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

შპს „წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აბუსერიძის, აღმაშენებლის, რუსთაველის, სახოკიასა და გოგებაშვილის ქუჩაზე და აწჰვისის დასახლებაში. ხორციელდება სეპტიკების დაქლორვა და მიმდებარე ტერიტორიების დასუთავება. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შევაბურის, არსენაულის, ორცვის წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიღვრე არხების გაწმენდა.

პერიოდულად ვანხორციელებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარებას. სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა დაბა ქედაში მდებარე კოსტავას ქუჩაზე გამგეობის ყოფილი საქვაბე შენობა-ნაგებობის მდგრადობა. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარება დემონტაჟს. საანგარიშო პერიოდში აღებული იქნა უნებართვოდ განთავსებული დამხმარე ნაგებობები დაბა ქედის რუსთაველის ქუჩაზე. დემონტაჟი ჩაუტარდა დაბა ქედაში სახოკიას ქუჩაზე მდებარე თვითნებურად დაკავებულ საბოსტნე ტერიტორიას, რუსთაველის ქუჩასა და ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მეპატრონეების მიერ.

სისტემატიურად ვახდენ კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული მშენებლობისა და მიმდინარე მშენებარე შენობა-ნაგებობებზე ღონისძიებების გატარებას. ამ ეტაპზე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამი მინი სპორტული მოედნის მშენებლობა დ.ქედაში, კვამტასა და მახუნცეთში. ხორციელდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და შიდა საუბნო გზების სამუშაოები. დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული მზა სასაქონლო ბეტონის შეძენის სამუშაოები. აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

სამსახური ანხორციელებს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მეწყერსაშიშ ზონებში არსებული კერძო საცხოვრებელი სახლებისა და ტერიტორიების ვიზუალური გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ადგილზე გასვლას და შემოწმებას. საანგარიშო პერიოდში შემოსული 12 განცხადებიდან შესწავლილი და შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვა 9 საცხოვრებელ სახლზე, რის შემდეგ შედგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნა შესაბამის სამსახურებს. ასევე შესწავლილ იქნა საფრთხის შემცველი მაღალტანოვანი ხეების მდგომარეობა გადაბელვის შესახებ დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში, სოფელ ხუნკუდის საავტომობილო გზის დასაწყისში და სოფელ ორცვის არასრული საჯარო სკოლის მიმდებარედ.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სამსახურმა დროულად მოახდინა რეაგირება შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე ყველა მათგანს დროულად გაეცა პასუხი.

ზედამხედველობის სამსახური საგანგებო მსჯელობის საგნად გახდის, როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე კერძო მოსახლეობის მხრიდან საზედამხედველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონდარღვევათა ყველა ფაქტს, მიიღებს კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული (სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული) ღონისძიებების შესრულების შესახებ ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობა ქვეპროგრამით - სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, ღონისძიებების მიზანია სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების დაოსტატობის დონის ამაღლება. მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობა- დაიხარჯა-749,99 ლარი.  
**მიღწეული შედეგი**

1. ანრი ცინცაძე - III- ადგილი (41 . კგ);
2. რეზი სამნიძე - I- ადგილი (23 . კგ);
3. რეზი ბასილაძე - I- ადგილი (62 . კგ);
4. ლუკა მახარაძე - II- ადგილი (48 . კგ);
5. ზუკა აბაშიძე - I- ადგილი (66 . კგ).

2. აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 8,12,16, წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის- დაიხარჯა-1372,44 ლარი.

**მიღწეული შედეგი**

სესილი ცეცხლაძე - II - ადგილი.

3. აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 10,14,18, 20, წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის-დაიხარჯა -1372,44 ლარი

**შედეგი არ გვაქვს**

4. ჭადრაკში საკვალიფიკაციო ტურნირი თანრიგის მინიჭებაზე-დაიხარჯა-1959,93 ლარი  
**მიღწეული შედეგი**

ლაშა შაინიძე - V - თანრიგი - I ბალი.

5. თორნიკე ლოლობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში- დაიხარჯა-1600 ლარი. შედეგი არ გვაქვს.

6. საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში (ჭაბუკები) დაიხარჯა 2000 ლარი: შედეგი

შედეგი არ გვაქვს.

7. საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში (U 15 წლამდე ჭაბუკები)- დაიხარჯა 2000 ლარი, მიღწეული შედეგი.

1. ანრი გოგუაძე - I- ადგილი (62 . კგ);
2. დიმა გოგიტიძე - I- ადგილი (52 . კგ);
3. კობა გოგუაძე - III- ადგილი (52 . კგ).

8. ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2022“-დაიხარჯა 2199,91 ლარი- მიღწეული შედეგი

1. ნინო ბოლქვაძე - III - ადგილი;
2. საბა თებიძე - IV - ადგილი.

9. თელავის ღია ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში-დაიხარჯა 2199,96 ლარი- მიღწეული შედეგი.

1. სალომე მახაჭაძე - II - ადგილი;
2. ლინდა მახაჭაძე - III - ადგილი;
3. მარიამ ჩიკვაძე - II - ადგილი.

10. აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის -დაიხარჯა 288 ლარი, მიღწეული შედეგი: 2-4 (ბათუმი,ნაზილბე-ქედა)

11. აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-დაიხარჯა 288 ლარი ლარი მიღწეული შედეგი 1-5 (ბათუმის წყალი-ქედა)

12. აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის-დაიხარჯა 279,99 ლარი მიღწეული შედეგი 2-12 (ხელვაჩაური-ქედა).

აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის შეჯიბრი იყოფა 2 ეტაპად. 1 ეტაპი შედგებოდა 7 მატჩისაგან - 7 თამაშიდან ყველა თამაშში გამარჯვება მოიპოვა ქედის გუნდმა. მეორე ეტაპი განახლდება მიმდინარე წლის აგვისტოდან თვიდან.

**სულ დაიხარჯა ---14310,66 ლარი**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის **2022 წლის პროგრამული**



**ბიუჯეტის ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა ქვეპროგრამით** - ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებებები, ღონისძიებების მიზანია ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა, ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. აჭარის ჩემპიონატის ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?  
მუნიციპალიტეტში გამარჯვებული საჯარო სკოლის გუნდების ( I,II,III) მონაწილეობის მომსახურების ორგანიზება ქ. ბათუმში- დაიხარჯა - 572,42 ლარი.  
მუნიციპალურ ტურში გაიმარჯვა ოქტომბრის, ვაიოს და ახოს საჯარო სკოლის გუნდებმა, შემდეგ მონაწილეობა მიიღეს აჭარის ჩემპიონატში. სამწუხაროდ საპრიზო ადგილს ვერ დაეუფლენ
2. გაიცანი საქართველოს" ფარგლებში ახალგაზრდების ექსკურსია დასავლეთ საქართველოში"-დაიხარჯა 2226,07 ლარი. ღონისძიებაში ფარგლებში 20-მა ახალგაზრდამ მონაწილეობა და დაათვალიერეს შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკი, მუსიკოსტა პარკი, მარტვილის კანიონი (ნაგების დაქირავება), ოკაცეს კანიონი კინჩხას ჩანჩქერი და დადიანების სასახლე.

**სულ დაიხარჯა 2798,49 ლარი**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის **2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობა ქვეპროგრამით - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა** გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, რომლებშიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა სტატუსისა და ასაკის ბენეფიციარები. ღონისძიებების მიზანია კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ეროვნული დღესასწაულების პოპულარიზაცია, ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლება, მოსწავლეების სწავლით დაინტერესება, მათი წახალისება, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობა, შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებების მსხვრევა. და ა. შ. ჩატარებული ღონისძიებები ორიენტირებულია მუდმივ

განვითარებაზე. მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაიხარჯა 5379,02 ლარი;
2. დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე , დაიხარჯა 1729,97 ლარი;
3. აუტიზმის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა 1991, 99 ლარი;
4. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, დაიხარჯა 1031, 80 ლარი;
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე, დაიხარჯა 278,99;
6. ბაირამი, დაიხარჯა 1024,98 ლარი;
7. ოჯახის სიწმინდის დღე, დაიხარჯა 2464,99 ლარი;
8. 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე, დაიხარჯა 752,97 ლარი;
9. ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრი ქალბატონებისათვის დედისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, დაიხარჯა 937,99 ლარი;
10. ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრთა ექსკურსია შიდა ქართლში, დაიხარჯა 4682,79 ლარი;
11. ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრებისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მილოცვა, დაიხარჯა 437,80 ლარი;
12. ქედის ხანდაზმულთა კლუბის „ღირსეული სიბერე“ წევრების მიერ 9 აპრილის აღნიშვნა, დაიხარჯა 122,76 ლარი;
13. ექსკურსია ეთნოგრაფიულ მუზეუმ „ბორჯღალოში“ და გონიოს ციხეზე, დაიხარჯა 866,97;
14. ბულინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, დაიხარჯა 1175,99 ლარი;
15. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტისთვის და მასში ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა, დაიხარჯა 2960 ლარი;
16. „ეტალონის“ კონკურსის მეორე ტურში გამარჯვებული მონაწილეებისათვის (I, II, II ადგილი) ფულადი ჯილდოს გადაცემა, დაიხარჯა 1000 ლარი;
17. ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი-ს“ ფარგლებში ანიმაციური ფილმების ჩვენების უფლების შესყიდვა, დაიხარჯა 1700 ლარი.

სულ დაიხარჯა: **28 539 ლარი.**